3825
F76 №460

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 3 ივლისი, 1942 წ.
საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო
№ 27 (238). ფასი 30 კაპ.

წინ, ჩვენი გამარჯვებისათვის

სრული ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხმა მოისმინა დიდი ბელადის, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ **სტალინის** სიტყვა—გამოსვლა რადიოთი, გამოსვლა, რომელიც მისი მოსმენის პირველ დღიდანვე გადაიქცა მთელი ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ძალების უძლიერეს დამრაზმელ ძალად. მთელი ჩვენი სამშობლოსათვის ბელადის ამ გამოსვლის შემდეგ განსაკუთრებით ნათელი და ცხადი გახდა მთელი სიღრმე იმ საშიშროებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას დაემუქრა. დიდმა ბელადმა იმ თავითვე გაგვაფრთხილა, რომ „მტერი სასტიკი და ულმობელია. იგი მიზნად ისახავს, ხელთ იგდოს ჩვენი ოფლით მორწყული ჩვენი მიწა-წყალი, ხელთ იგდოს ჩვენი შრომით მოპოვებული ჩვენი პური და ჩვენი ნავთი. იგი მიზნად ისახავს აღადგინოს მემამულეთა ძალაუფლება, აღადგინოს ცარიზმი, დაანგრიოს რუსთა, უკრაინელთა, ბელორუსთა, ლიტველთა, ლატვიელთა, ესტონელთა, უზბეკთა, თათართა, მოლდაველთა, ქართველთა, სომეხთა, აზერბეიჯანელთა და საბჭოთა კავშირის სხვა თავისუფალ ხალხთა ნაციონალური კულტურა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობა, გააგერმანელოს ისინი, გერმანელი თავადებისა და ბარონების მონებათ აქციოს ისინი".

ამ ერთი წლის ამბებმა — გერმანელ ოკუპანტების სისხლიანმა თარეშმა და მათ მიერ ჩადენილმა გაუგონარმა ბოროტმოქმედებამ დაადასტურეს და ცხადჰყვეს სრული რეალურობა იმ საშიშროებისა, რაზედაც ბელადი გველაპარაკებოდა, გერმანელმა ბარბაროსებმა დროებით დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიებზე ჩვენი მოძმე ხალხების სისხლით მორწყეს ჩვენი მშობლიური მიწა-წყალი, ფერფლად აქციეს მთელი სოფლები და რაიონები, მონობის უღელში გააბეს მშრომელი მოსახლეობა, მოსპეს და გაანადგურეს უდიდესი ისტორიული ძეგლები კულტურისა. მაგრამ ოკუპანტთა ბარბაროსულმა დაუნდობლობამ არა თუ მოდრიკა, არამედ გააათკეცა საბჭოთა ხალხის საბრძოლო სულისკვეთება და უნარი. საბჭოთა ადამიანები ერთი წუთითაც არ მისცემიან სულმოკლეობას და, ბელადის მოწოდების თანახმად აღსდგნენ თავისი უფლების, თავისი მიწა-წყლის დასაცავად.

დიდი ბელადის მიერ სამ ივლისს რადიოთი წარმოთქმული სიტყვა წარმოადგენდა საბჭოთა ხალხისათვის შემდგომი საბრძოლო მოქმედების გენიალურ პროგრამას, იგი მოგვიწოდებდა გარდაგვექმნა მთელი ჩვენი მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი დაგვემორჩილებინა ფრონტის ინტერესებისა და მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებისათვის. მთელი საბჭოთა ხალხი ასდგა მოიქცა. მთელი ჩვენი ქვეყანა გადაიქცა ერთ საომარ ბანაკად, რომელიც თავგანწირულად და თავდაუზოგავად მუშაობდა და მუშაობს წითელი არმიის სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად, მისი საბრძოლო უნარიანობის გასაღრმავებლად. ჩვენმა ხალხმა წარმოუდგენელი სისწრაფით მოახდინა სამხედრო საწარმოების და სხვა დიდმნიშვნელოვანი ფაბრიკა-ქარხნის ევაკუირება ღრმა ზურგში. ასევე წარმოუდგენელი სისწრაფით დასდგა და აამუშავა ისინი, ააგო და ააშენა მთელი რიგი ახალი საწარმოები, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ მთელი ჩვენი სამხედრო მრეწველობა დღეს იძლევა ბევრად მეტ შაშხანას, ტყვიამფრქვევს, ქვემეხს, ტანკს, თვითმფრინავს, ვაზნას და ყოველგვარ სამხედრო მასალას, ვიდრე იგი ომამდე იძლეოდა.

დიდმა ბელადმა სამი ივლისის ისტორიული გამოსვლით სამოქმედო გეგმა მისცა დროებით ოკუპირებულ საბჭოთა რაიონების მშრომელებს, მოუწოდა მათ შეექმნათ ცხენოსანი და ქვეითი პარტიზანული რაზმები, გაეჩაღებინათ ნამდვილი სახალხო ომი მტრის ზურგში. ამ მოწოდების მოსმენის პირველ დღიდანვე ბელადის სიტყვა საბჭოთა ადამიანებმა დიდ სახალხო საქმედ აქციეს, მათ დაანთეს ცეცხლი სახალხო ომისა, ისეთი ომისა, როგორიც არ ახსოვს არც ერთ ხალხის ისტორიას. ერთი წელიწადია, რაც ეს ცეცხლი გიზგიზებს და არა ჰქრება იმ მიწაზე, სადაც ოკუპანტის ფეხი თარეშობს. დღითი-დღე იზრდებოდა რიცხვი პარტიზანებისა, მრავლდებოდა რაოდენობა პარტიზანული რაზმებისა, რომლებიც დღეს ცალკეულ რაიონებში ათეულებს და ასეულებს აღწევენ და რომლებიც მტერს უფეთქებენ ხიდებს, უფუჭებენ სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობას, უწვავენ საწყობებს, აღალებს, უნადგურებენ სამხედრო მასალით დატვირთულ ტრანსპორტებს, უსპობენ მთელს ეშელონებს, ერთი სიტყვით, ჰქმნიან აუტანელ პირობებს გერმანელ ფაშისტთა არმიისათვის. ათ მილიონზე მეტი მტრის ცოცხალი ძალის მოსპობაში, რომლითაც დასრულდა სამამულო ომის პირველი წელიწადი, თავისი საპატიო წვლილი შეიტანეს ჩვენმა სახალხო შურისმგებლებმა. საბჭოთა ხალხის გააფთრებული პარტიზანული ბრძოლა წარმოადგენს ჭეშმარიტად თავზარდამცემ რისხვას გერმანელ ოკუპანტებისათვის.

ამ ერთი წლის წინად დიდმა ბელადმა გენიალური სისწორითა და სიზუსტით განსჭვრიტა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერსპექტივები. მან სთქვა: „ამ განმათავისუფლებელ ომში ჩვენ მარტონი არ ვიქნებით. ამ დიდ ომში ჩვენ ერთგულ მოკავშირეებად გვეყოლებიან ევროპისა და ამერიკის ხალხები... ჩვენი ომი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის შეერთდება ევროპისა და ამერიკის ხალხთა ბრძოლას მათი დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიული თავისუფლებისათვის. ეს იქნება ერთიანი ფრონტი ხალხებისა, რომელნიც იცავენ თავისუფლებას ჰიტლერის ფაშისტური არმიების მიერ დამონების წინააღმდეგ და დამონების საფრთხის წინააღმდეგ".

განვლილმა ერთმა წელიწადმა ცხადჰყო და დაადასტურა ეს პროგნოზი. განვლილი წელიწადი იყო ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ ევროპის დამონებული ხალხების, დიდი ბრიტანეთის და ამერიკის ხალხების გაერთიანებისა და დარაზმვის წელიწადი. სახალხო ომის ცეცხლი ანთია იუგოსლავიაში, ნორვეგიაში, საბერძნეთში, პოლონეთში; ბობოქრობენ და სახალხო ომისათვის ემზადებიან საფრანგეთის, ჩეხო-სლოვაკიის, ბელგიისა და ჰოლანდიის ხალხები. ჰიტლერული გერმანია ევროპის ხალხთა საყოველთაო აჯანყების ვულკანზე ზის. ამავე დროს ჰიტლერულ გერმანიაზე გადამწყვეტ გამანადგურებელ დარტყმას ამზადებენ დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. ამ ორ ბუმბერაზ სახელმწიფოსთან საბჭოთა მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულება და შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს მეორე ფრონტის გახსნას 1942 წელს, გარდუვალი დაღუპვის წინაშე აყენებს ჰიტლერულ ტირანიას.

ფაშისტური გერმანია განწირულია. ასეთია განაჩენი ისტორიისა. დიდი ბელადის და მთავარსარდლის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით მამაცი საბჭოთა ხალხი თავის მოკავშირეებთან ერთად სისრულეში მოიყვანს ამ განაჩენს.

◆ ◆ ◆

გიორგი ლეონიძის ახალი ლექსების წიგნი

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად გიორგი ლეონიძის ლექსების წიგნი „სამშობლო, სტალინი". წიგნში მოთავსებულია ოცდაერთი ლექსი, დაწერილი უმთავრესად სამამულო ომის დღეებში („სამშობლოსათვის, სტალინისათვის", „სტალინს", „ლენინის ქალაქს", „მაიორ ალექსი იბაურს", „მხედარი პერტახია", „ჰეი, არწივო!" და სხვ.).

წიგნი შეიცავს 48 გვერდს და ღირს 3 მან. 80 კაპ. წიგნი გამოცემულია გამომცემლობა „ფედერაციის" მიერ.

„საკდესის ფანჯრების" დიაფილმები

საბჭოთა კავშირში სამხედრო ნაწილებში, კლუბებში, სკოლებში, ქოხსამკითხველოებსა და აგიტპუნქტებში ითვლება 30.000-მდე ალოსკოპი. „საკდესის ფანჯრის" რედაქციამ გადასწყვიტა გამოიყენოს ეს ფართო ქსელი პოლიტიკური კარიკატურისა და სურათის პოპულარიზაციისათვის.

მოსკოვის დიაფილმების ფაბრიკაში „საკდესის ფანჯრის" რედაქცია უშვებს დიდ ფერად ფილმებს. ყოველი დიაფილმი მიეძღვნება „საკდესის ფანჯარაში" გამოქვეყნებულ ცალკეულ თემას და შესდგება 15 კადრისაგან. „საკდესის ფანჯრის" პირველი დიაფილმების თემებია: „არ დავივიწყებთ, გადავუხდით", „სასწაულია, სასწაული", „გოლიათი ხალხი", „მძარცველი არმია" და სხვა. ყოველი თემის ტირაჟი 5.000 ცალს უდრის. დიაფილმები მეტად პორტატულია, მათი ჩვენება შეიძლება არა მარტო ალოსკოპით, არამედ ფილმოსკოპებისა და საბავშვო პანორამების საშუალებითაც. ეს ხელს შეუწყობს „საკდესის ფანჯრის" პოპულარიზაციას ფართო მასებში.

პარტიზანი ბათია

ირაკლი ანდრონიკაშვილი

პორტრეტი

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მან ჩემზე მოახდინა, როცა ის საღამო ხანს არმიის პოლიტგანყოფილებაში დავინახე, ასეთი იყო — ეშმაკი მოხუცია და ჭკუას არსად წააგებს. მაგრამ ეს შთაბეჭდილება არც სულ სწორი იყო. მაგალითად, ბათია სრულიადაც არაა მოხუცი. ის გახლავთ მაღალი, ტანადი, ჩასკვნილი მამაკაცი, ხოლო მოხუცად მას ხდის ჭაღარა, ოდნავ ხუჭუჭი დიდი წვერი. ულვაშებიც მოზრდილი აქვს, მაგრამ წვერთან რა შესადარია — ულვაშებს გაცილებით ნაკლები შესახედაობა და იერი აქვს. თმა აქვს გრძელი, შევერცხლილი და რბილი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბათიას თმა არც თუ უხვადა აქვს, — მხოლოდ კეფაზე და ყურებს ზევით. აი ყველაფერი ის, რაც ბათიას მოხუცად მოგაჩვენებთ. სახე კი საკმაოდ ახალგაზრდა აქვს და ნაოჭიც მცირეოდენი. ცხვირი ცოტაოდნავ ცისკენ აქვს აზნექილი და სახეს მხიარულ იერს აძლევს.

ასეთი გახლავთ ბათიას პორტრეტი.

თუ ამას დავუმატებთ რომ ბათია ატარებს ძველებურ ყაიდაზე შეკერილ გიმნასტურას, რომელზედაც აცვია შავი ტყაპუჭი, ცხვრის თეთრი ბეწვით შემოვლებული, და ჰხურავს შავი ქუდი „უშანკა", და რომ ჯიბეებში უწყვია ხუთი ყუმბარა, ხოლო მხარზე მოგდებული აქვს გერმანელებისათვის წართმეული ავტომატი, — აი ყველაფერი ის, რისი თქმაც შეიძლება ბათიაზე, სანამ ის მდუმარედ არის.

არა, შეიძლება კიდევ ერთი რამ დავუმატოთ: როდესაც ბათია ზის ქოხში, სურათებით მორთულ წითელ კუთხეში და შეექცევა ჩაის, ის მიაგავს მხიარულ მოხუცს, როგორსაც წინად იაფფასიან სურათებზე ხატავდნენ, ან და თვით „ყინულის პაპის" უმცროს ძმას.

მოყინულ ქუჩაზე, ჩამჯდარი მარხილში, რაშიაც შებმულია წაბლისფერი ლაფშა, ბათია ჩამოუშვებს ყურსაფარებს, და ამ დროს ის ნამდვილ მეტყევეს მოგაგონებთ; ხოლო როცა რქის ჩარჩოიანი სათვალეებით შეიარაღებული თავდახრილი დაჰყურებს სამუშაო მაგიდაზე გადაშლილ „ორვერსიან" რუქას, ის, როგორც ორი წვეთი წყალისა, ერთ აკადემიკოსს ჰგავს.

ეძახიან მას უბრალოდ — „ბათიას". ომამდე კი მას რასაკვირველია, სხვაგვარად ეძახდნენ — უწოდებდნენ გვარს, სახელს, მამის სახელს.

თუ მომავალში წაიკითხავთ საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას მისი დაჯილდოების გამო გმირობისა და საბრძოლო დამსახურებისათვის, იქ ვერ იპოვით სახელს „ბათიას", იქ აღნიშნული იქნება მისი სამოქალაქო სახელი და იმ წუთში თქვენ ვერ მიხვდებით, რომ ეს სახელოვანი გმირი სწორედ ის ბათია არის.

ჯერ კიდევ ამ ერთი წლის წინად ის სხვანაირი იყო, წვერსა და ულვაშებს არ ატარებდა, თმა შეკრეჭილი ჰქონდა, ხოლო ფეტრის ქუდი, საყელო და ყელსახვევი იმაზე უფრო ახალგაზრდას ხდიდნენ, ვიდრე ნამდვილად იყო. ბათია ხშირად ეუბნებოდა თავის მეგობრებს — პარტიზანებს:

— ვერა, ბიჭებო, უწვეროსა და უულვაშოს მე თქვენ ვერც მიცნობთ, მე ახალგაზრდა ცოლი მყავს. მეც ხომ მოხუცად არ გამოვიყურები, როცა მას ხელიხელ გაყრილი მივყვები!

სმოლენსკის მიწაზე

საკმარისია ახსენოთ ბათიას სახელი და გარშემო ყველას ღიმილს შეამჩნევთ. ყველას მრავალი რამ სიკეთე ახსოვს მისგან. ახსოვთ მისი თავდადება და საბრძოლო წარმატება, რაიც ჩვენს საერთო გამარჯვებას გვიახლოვებს. ყველას თვალში და ღიმილში თქვენ ამოიკითხავთ ბათიათი აღტაცებას. ღიმილი ეკუთვნის ადამიანს, აღტაცება კი — მრისხანე პარტიზანულ რაზმების მეთაურს. ასეთი მხიარული აღტაცება შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ გონიერ ადამიანს. და მართლაც იშვიათად შეხვდებით ასეთ ჭკვიან კაცს, როგორიც ბათია არის. პარტიზანებმა ეს კარგად იციან.

— ოქროს თავი აქვს! — სთქვა ერთხელ პეტიამ, ერთ-ერთი რაზმის კომისარმა. — ტყუილად კი არ შეაფასეს მისი თავი გერმანელებმა ორმოცდაათი ათასად. მაგრამ უკანასკნელ გამცემმაც კი იცის, რომ ასეთ თავს ფულით ვერ იყიდი!

როცა პირველად შეხედავ, ჩვეულებრივ მოხუცად მოგეჩვენება, შემდეგ კი მიხვდებით, რომ ის სრულიად არ არის უბრალო კაცი. უცბად ვერც კი წარმოიდგენ, რომ ეს წვეროსანი პარტიზანი ლაპარაკობს ინგლისურად და ჩინურად და რომ მას უკან დარჩა მრავალი წლიწადი სამოქალაქო ორგანიზაციული მუშაობისა, რაშიაც მან დიდი ნებისყოფა, შრომა და ჭკუა გამოიჩინა.

დაბალ, განიერ მარხილში ჩამჯდარი, ის უფრო ხშირად მდუმარედ არის და რაღაცაზე ფიქრობს. მიბაკუნებს ქურანა ლაფშა. ხმაურობს თოვლი მარხილ-ქვეშ. მოშორებით მდუმარე ტყეები მოსჩანან. თოვლის სითეთრე თვალს აბრმავებს. მარხილს გვერდით მისდევს ცისფერი ლანდი. შორს, ნათელ ლაჟვარდის სიმაღლეში, ოდნავ ისმის ორი თვითმფრინავის გუგუნი. თვალბედითნი მისრიალებენ ისინი ცისფერ სივრცეში... ბოლოს მიიმალნენ. გუგუნიც აღარ ისმის. მირბის ლაფშა. თვალი კითხულობს ტყის ამბების იდუმალ სტრიქონებს. წინდაწინვე იცი, რომ შარშანაც, ასი წლის წინადაც და ყოველთვის ასეთი იყო ეს ბორცვები და ტყეები, მაგრამ საკმაოა მხოლოდ გაიფიქრო, რომ სწორედ ამ სმოლენსკის მიწაზე, ამ ბორცვსა და ტყეებს შორის 1812 წელსაც, ისე, როგორც ახლა, ბობოქრობდნენ მტრის ზურგში სახალხო აჯანყებათა ხანძრები; როდესაც წარმოიდგენ, რომ აქ, იქნებ სწორედ ამ გზაზე, მაშინაც მიემგზავრებოდნენ მრისხანე პარტიზანები, ეს მუნჯი პეიზაჟები აღივსებიან უღრმესი მნიშვნელობით, და გრძნობ, თუ რა დიადი სურათი გადაიშალა შენს წინაშე. თუ შენ წინად არ გივლია სმოლენსკის მიწაზე, აუცილებლად გაიფიქრებ, რომ არსად არის მიწა ასეთი ძვირფასი და მახლობელი. მოგეჩვენება, რომ დიდი ხანია უკვე იცნობ მას, გიყვარს და ამ წუთში ის არის შენი სამშობლო, რომლის გულისთვის სიკვდილი არ დაგენანება.

ვინ იცის, რაზე ფიქრობს მარხილში მოკალათებული ბათია. მაგრამ ერთი კი ცხადია, — მისი ფიქრები შეერთებულია მხოლოდ ამ მიწასთან და, მაშასადამე, გამარჯვებასთან.

ბათიას ნამოქმედარი

იმ რაიონებში, სადაც ბათიას პარტიზანები მოქმედებენ, აღდგენილია საბჭოთა ხელისუფლება. აღადგინა ის ბათიამ, და ამიტომ ის არა მხოლოდ სარდალია, ის საბჭოთა სამოქალაქო ხელისუფლების განსახიერებაც გახლავთ.

სამხედრო მეთაური ბათია რაზმებს ჰგზავნის გერმანელთა გარნიზონების წინააღმდეგ, აფეთქებს ხიდებს, ნაღმავს გზებს, სპობს გერმანელების აგენტებს, მამასახლისებს და პოლიციელებს. როგორც სამოქალაქო მეთაური სახელმწიფოს საჭიროებისათვის აგროვებს ფქვილსა და ხორბალს, ხორცსა და ერბოს და ყველაფერს ამას უგზავნის წითელ არმიის ნაწილებს.

პარტიზანთა მეთაური ბათია ანთავისუფლებს სოფლებსა და დაბებს ოკუპანტებისაგან. სამოქალაქოდ ბათია კი მიმოდის ამ განთავისუფლებულ ადგილებში და ამყარებს იქ ნორმალურ საბჭოთა ცხოვრებას. მაგრამ ბათია, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მოღვაწეობაში ისწრაფვის ერთისკენ—რაც შეიძლება მეტი ფაშისტი მოსპოს, ჩაშალოს მტრის ყველა ღონისძიება, არ მისცეს საშუალება მტერს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს სმოლენსკის მიწის სიმდიდრე. ერთის სიტყვით, ყველაფერი ის, რასაც ბათია აკეთებს, ხეირს არ აყრის ფაშისტებს.

ბათიას ტერიტორიაზე თქვენ ვერ დაინახავთ დახოცილ ფაშისტებს — მათ უმალვე მარხავენ. მაგრამ თუ თქვენ ბათიასთან გაემგზავრებით, მაშინ დიდი გზებისა და შარა გზების მიმყოლ ტყეებში საშუალება მოგეცემათ იხილოთ მთელი სასაფლაოები. ჯვრები, ჯვრები... მრავალი ჯვარი გერმანული გოტური ტაბულებით არის შემკული.

— შრომის განაწილება გახლავთ!— აგვიხსნა ბათიამ, როცა გერმანელთა ერთ-ერთ სასაფლაოს გავუარეთ — ჩვენ ვსპობდით, გერმანელები კი თავიანთ მიცვალებულებისათვის მიწას სთხრიდნენ!

ბათია ისეთი, როგორიც არის

ერთხელ მასთან ახალგაზრდა, ულამაზო ქალი მივიდა. აცრემლებული თხოვნით მიმართა: დამეხმარე აბორტის გაკეთებაშიო.

— რაო? — გაუკვირდა ბათიას — მე რა შუაში ვარ? ექიმი ხომ არა გგონივარ?

მერე უეცრად მიხვდა და განაგრძო:

— ა, მივიხვდი... თუ ჩემგან ბარათი არ გექნება, საავადმყოფოში უარს გეტყვიან. სამართლიანადაც მოიქცევიან, საბჭოთა კანონით აბორტი აკრძალულია.

მაგრამ ქალი, რომელმაც ასეთი მოულოდნელი თხოვნით მიმართა, თურმე გაუპატიურებული ყოფილა გერმანელ ობერ-ეფრეიტორის მიერ. იმ არამზადამ ქალი შვილების თვალწინ შებილწა. როცა ქალმა ეს გაიხსენა თვალები ცრემლებით აევსო. სწრაფად, ხელის შეუმჩნევი გაქნევით, იწმენდს თვალებსა და ცხვირს და ცდილობს თავისი მწუხარება დაფაროს.

— კმარა, კმარა, ნუ სტირი, — მიუალერსა ბათიამ — ფიქრი ნუ გაქვს, ფაშისტისაგან შენ ბავშვს არ დაბადებ. ამ შემთხვევაში, ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება დავარღვიოთ კანონი.

ბათია სწერს ბარათს: „პარტიზანული რაზმის სარდლობა აუცილებლად სთვლის გაუკეთდეს აბორტი".

— ბეჭედი არა მაქვს, ჩემო დაიკო, მაგრამ იქ, საავადმყოფოში იცნობენ ჩემს ხელმოწერას. მე უბრალოდ ვაწერ: „ბათია". უკანასკნელი ასო ჩვეულებრივად მოკვარახჩინებული მაქვს!

და მართლაც ისეა მოკვარახჩინებული, რომ ვერაფრით დაამსგავსებთ.

საკვირველი მსგავსება

ვიღაცას გასაოცრად ჰგავს ბათია. ისე ჰგავს, რომ მეჩვენება თითქო სადღაც მინახავს სწორედ ასეთი, როგორიც ახლაა — წვერიანი, იარაღში ჩასხმული. ისიც მახსოვს, რომ მარხილში ვუჯექი. და თუმც იცი, რომ ეს არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო, მაინც გგონია, რომ პირველად არ შეხვედრიხარ.

მარხილი კი ისევ მისრიალებს და ბათია ისევ წინ იცქირება თავისი ნათელი თვალებით. გაჰყურებს და ფიქრობს. შავი ტყაპუჭი არშიით, წვერები... და უეცრად ცოცხლდება მეხსიერებაში: ტყაპუჭი, თოვლი, მარხილი, აჩქარებული ცხენი პუშკინის „კაპიტნის ქალიშვილი"! გრინიოვი მიემგზავრება პუგაჩოვთან ერთად აჯანყებულ დაბაში.

აი ვისა ჰგავს ის! ამ მსგავსებამ უნებური გაკვირვება გამოიწვია ჩემში. რასაკვირველია, მუდამ ცოცხლობდა ეს ბათია, და ყველა წმინდა რუსული ღირსება შეერთებულია ამ ჩვენს საბჭოთა ბათიაში. რა თქმა უნდა, ის იყო, რომ ალყა შემოარტყა ორენბურგს და ყაზანს და ასამართლებდა ხალხის მჩაგვრელთ. პუშკინს არ შეეძლო მთელი სიმართლე დაეწერა პუგაჩოვზე. ვინ იცის, იქნებ პუგაჩოვიც სწორედ ისეთი იყო, როგორიც ბათია არის. იქნებ რაზინიც, რომელიც დონზე და ვოლგაზე თავისუფალ კაზაკებს უხმობდა, ბათიას ჰგავდა. ეს ხომ ისევ ის წვერიანი რუსი ბათიაა, რომელიც დიდი ხანია უკვე დაპირდა ხალხს უკეთეს ცხოვრებას. 1612 წელს, როცა სამშობლოს უბედურება ეწვია, განა ბათია არ იყო (მაშინ კუზმა მინინის სახით), რომ შეაგროვა ლაშქარი დამპყრობელთა გასარეკად? განა ბათიამ არ შეიყვანა მტრები ულრან ტყეში და თავი გასწირა საკუთარი ხალხის გადასარჩენად? ეს ხომ მისი სახელით ადიდებს ხალხი გმირ ივანე სუსანინს. ეს ისევ ის „მითხარი, ძიავ, განა ტყუილად" გახლავთ, რომელიც იმღერა ლერმონტოვმა. ის არის ძლიერი, გმირული მოდგმა იმ მეომრებისა, რომლებმაც იხსნეს სამშობლო ბოროდინოს ომში, ეს ის გახლავთ, ბათია, რომელმაც შემდეგ ტყვიამფრქვევი აამოქმედა და იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, ებრძოდა მტაცებელთ, იცავდა რევოლუციას, თავისუფლებას და თავის მიწა-წყალს.

იქნებ სთქვათ, რომ ბათია ერთი არ არის, რომ მისი მსგავსი მრავალია. გეთანხმებით, მაგრამ განა ბათიას გმირობას ამცირებს ის, რომ მთელი ხალხია გმირი? უბრალო საქმე როდია, იყო გმირი ასეთი ხალხისა. ბათია სამართლიანი საქმისათვის იბრძვის, ხალხი კი ასეთებზე ამბობს:

— ვინც სიმართლისათვის, სამშობლოსათვის თავდადებულია, ის ნამდვილი გმირია!

თქვენც კარგად გექნებათ წარმოდგენილი, რომ ბათიამ საქვეყნო საქმეს, სამშობლოს თავისუფლებას მიუძღვნა თავისი ჭკუა და გული.

განუზომელი გრძნობით უყვარს მას თავისი სამშობლო.

ერთი წუთითაც არა ვარ დაეჭვებული, რომ გამარჯვების შემდეგ ჩვენ კიდევ შევხვდებით ბათიას. მაგრამ იგი, ალბათ, მაშინ წვერ-გაპარსული იქნება.

ვნანობ, რომ ვერ ნახავთ ისეთს, როგორიც ის ახლა გამოიყურება.

მოქმედი არმია.

იანკა კუპალას გარდაცვალების გამო

ქართველი საბჭოთა მწერლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ბელორუსიის სახალხო პოეტის, გმირი ბელორუსი ხალხის მომღერლის, დიდი საბჭოთა პატრიოტის იანკა კუპალას გარდაცვალების გამო. იანკა კუპალამ მთელი თავისი სიცოცხლე და ბრწყინვალე შემოქმედება მიუძღვნა თავისუფლებისმოყვარე ბელორუს ხალხს, რომელიც დიადი სამამულო ომის დღეებში გმირულად იბრძვის გამხეცებულ გერმანელი ოკუპანტებისაგან მშობლიური ბელორუსიის განსათავისუფლებლად. ამ მრისხანე დღეებში, მით უფრო სამძიმოა დაკარგვა ჩვენი ძვირფასი იანკასი, რომლის თითოეული სიტყვა აღაგზნებდა საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებს წმინდა ბრძოლისათვის სისხლისმსმელი მტრის წინააღმდეგ.

ფაშისტი ბარბაროსებისადმი მწვავე სიძულვილით აღსავსე იანკა კუპალას მოწოდება, რომელიც საბჭოთა სამშობლოს შვილებს შთააგონებდა გმირულ საქმეებს, კვლავაც იქნება საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების აღმგზნები და დამრაზმელი გერმანელ ფაშისტ კაციჭამიების სრული და საბოლოო განადგურებისათვის.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი.

იანკა კუპალა

გარდაიცვალა იანკა კუპალა—ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკის სახალხო პოეტი, ორდენოსანი, უკრაინისა და ბელორუსიის სამეცნიერო აკადემიების წევრი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

იანკა კუპალა ფსევდონიმია ივანე დომინიკის-ძე ლუცევიჩისა. იგი დაიბადა 1882 წელს, მინსკის მახლობლად, სოფ. ვიაზანკაში. პოეტის მამა უმიწაწყლო გლეხი იყო. მამის გარდაცვალების შემდეგ მომავალი პოეტი შავ მუშად დამდგარა. ერთ დროს წვრილ მოხელედაც უმსახურნია ქარხანაში. იმავე დროს ბევრს კითხულობდა და სწერდა.

1913 წელს იანკა კუპალამ, უკვე ცნობილმა პოეტმა, მოახერხა საერთო განათლების კურსების დამთავრება პეტროგრადში. ამან საკმაო ცოდნა შესძინა პოეტს და ხელი შეუწყო მის შემდგომ ზრდას.

ლიტერატურული მოღვაწეობა კუპალამ დაიწყო, როგორც რევოლუციონურ-დემოკრატიული მასების მგოსანმა. თავის გულწრფელ და ემოციურ ლექსებში იანკა კუპალა არა მარტო გვიხატავდა გლეხობის მძიმე ეკონომიურ ჩაგვრას და გაჭირვებას, არამედ მოუწოდებდა მათ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლებისაკენ. მისი ლექსები გაჟღენთილია ჩაგრულთა საბოლოო გამარჯვების რწმენით.

პირველი კრებული („ჟალეიკა"-ს სახელწოდებით) პოეტმა 1908 წელს გამოსცა. ამ ლექსებმა თავის დროზე დიდი გამოხმაურება ჰპოვეს. 1910 წელს გამოვიდა იანკა კუპალას მეორე კრებული—„გუსლიარ"-ი, ხოლო 1913 წელს—მესამე კრებული ლექსებისა „შლიახომ ჟიტია". ამ კრებულებში მოთავსებულ ლექსებში პოეტი უმთავრესად გვიხატავდა მშრომელთა ფიქრებსა და იმედებს.

მაგრამ პოეტის შემოქმედებისათვის ფართო ასპარეზი მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გადაიშალა. პოეტმა თავისი თვალით დაინახა ის, რაზედაც წლების მანძილზე ოცნებობდა. ოქტომბერმა გაანთავისუფლა ჩაგრულნი. სხვა ხალხებთან ერთად განთავისუფლდა ბელორუსიის გმირული ხალხიც. პოეტის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. იგი თავდავიწყებით ემსახურებოდა რევოლუციას, უმღერდა დიდ ბელადებს **ლენინსა** და **სტალინს.** განსაკუთრებით ძლიერია და მხატვრული თვალსაზრისითაც უძვირფასესი უკანასკნელი კრებული პოეტისა „ად სერცია", სადაც მოთავსებულია ლექსები, მიძღვნილი ხალხთა დიდი ბელადის **სტალინისადმი,** წითელ არმიისადმი, ტარას შევჩენკოსადმი, აგრეთვე ლექსები მაქსიმ გორკიზე, სულეიმან სტალსკიზე და მრავალი სხვ. ამავე კრებულში მოთავსებულია მშვენიერი ლექსები: „საქართველო", „მზიურ შოთა რუსთაველს" და „გენაცვალე".

1940 წელს პოეტს გადაუხადეს სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილე. საქართველოს საბჭოთა მწერლების პრეზიდიუმმა საიუბილეო დღეს იანკა კუპალას მხურვალე მისალმება გაუგზავნა.

იანკა კუპალას ბევრი ნაწერია თარგმნილი ქართულ ენაზე. ზოგიერთი თარგმანი დაიბეჭდა „კომუნისტში", „ლიტერატურულ საქართველოში", „ოქტომბრელში", „პიონერში" და სხვაგან. იანკა კუპალას ბელორუსულ ენაზე გადათარგმნილი აქვს პუშკინისა და შევჩენკოს ნაწერები. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურულ მოძრაობაში.

დასამანი

გზა დაულოცა

ანდრო თევზაძე

გმირებმა განვლეს გზა და სოფელი,
სამშობლოს მტერთან სამტროდ მიდიან.
წუთით დააწყეს ველზე თოფები,
რომ მოუსმინონ მოხუც მინდიას.

აი წამოდგა ჭაღაროსანი,
თითქოს ციცკარი დინჯად იღება,
ლაშქრად წასული ქართველი ძმანი
ისმენენ მამის ბრძნულ დარიგებას:

— შვილებო, ვხარობ, ასე რომ გხედავთ
უძლეველობის ურყევ სიმბოლოდ,
ომში ბელადი გყავდეთ იმედად
და გამარჯვება თქვენია მხოლოდ!

დაულოცა და შვილთ ხმალი მისცა,—
მას ყველა უსმენს სულგანაბული,
დგას მხარგაშლილი, როგორც ასპინძა,
და თოვლიანი, როგორც აბული.

მის ხმაში ხალხის სული კამკამებს,
როგორც სჩვევია მამას ჭაღარას,
გზა დაულოცა ქართველ ვაჟკაცებს
და მათ წინაშე თავი დახარა.

— შვილებო, ვხარობ, ასე რომ გხედავთ
უძლეველობის ურყევ სიმბოლოდ,
ომში ბელადი გყავდეთ იმედად
და გამარჯვება თქვენია მხოლოდ!

ვაჟების ვაშა დიდხანს არ ცხრება
და ხმები ჰყვება დროშების ფრიალს,
მათ ომში წასვლას მტრის დამარცხება,
მათ დაბრუნებას გმირობა ქვია!

დამელოდევი...

კონსტანტინე სიმონოვი

დამელოდევი და... დავბრუნდები,
მხოლოდ ძალიან დამელოდევი...
მელოდე, როცა ნისლის გუნდები
და წვიმის ჰანგი სევდას მოდენის,
როცა ყინავს და ქარი უნდობი,
სარკმელს ასკდება ზათქით, გოდებით;
მელოდე, როცა ზაფხულს ელვიანს
ვეღარ გაუძლებ, ვეღარ აიტან;
მელოდე, როცა სხვებს არ ელიან
და ღალატობენ გულმიამიტად,
მელოდე მაინც, როს შორი გზიდან,
ჩემი ბარათი არ მოფრინდება,
როცა ამაო ლოდინის ზიდვა
ყველას აშკარად რომ მოწყინდება
დამელოდევი და... დავბრუნდები...
არ დაიშურო სიტყვა წყევისა,
როცა ბოროტმა ვინმემ ბუნებით
მოგცეს რჩევები დავიწყებისა.
დე, დაიჯეროს შვილმა, დედამაც,
რომ დავიღუპე ბრძოლაში გმირად,
დე, მომიგონონ გაუბედავად
ჩემმა ტოლებმა ღუმელის პირად.
შესანდობარიც თუგინდ დასცალონ,
დაღვარონ პურზე ღვინის წვეთები.
ნუ ჩქარობ, ნუ სვამ, შენ დაგაცალონ
დარჩე ლოდინის სულისკვეთებით.
დამელოდევი და... დავბრუნდები,
სიკვდილი ბევრჯერ ჩამიქოლია.
ვინც არ მელოდა, გულით უნდობი,
მან სთქვას: გადარჩა, ბედი ჰქონია.
ვისაც არ ჰქონდა გულში ლოდინით
ცეცხლის ხაზებზე ჩემი არჩივი,
ის ვერ გაიგებს, ამ მოლოდინით
როგორ და რა რიგ გადამარჩინე.
მარტო შენ და მე გვეცოდინება,
როგორ გადვურჩი მტარვალს ცოდვიანს:
შენ, მოლოდინი და მოთმინება
თურმე ყველაზე უკეთ გცოდნია.

თარგმანი მიქელ პატარიძისა

◆

„სიმღერა როლანდზე"

გამომცემლობა „ფედერაციამ" დაბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ფრანგული გმირული ეპოსი „სიმღერა როლანდზე". პოემა ფრანგულიდან სთარგმნეს პოეტებმა რაჟდენ გვეტაძემ, ალექსანდრე აბაშელმა და ხარიტონ ვარდოშვილმა.

„როლანდის" ქართული თარგმანი გამოდის სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით.

სამი პიესა

აჭარის სახელგამმა გამოსცა შალვა ღონღაძის პიესების კრებული. წიგნში მოთავსებულია „ხმა გვირაბიდან", „ნათელა და „ფორე".

წიგნი შეიცავს 184 გვერდს და ღირს 16 მან.

ალექსანდრე ბაჯიაშვილი

გარდაიცვალა მუშა-მწერალი ალექსანდრე ბაჯიაშვილი. იგი აქტიური მონაწილე იყო მუშათა დრამატიული დასისა, რომელიც რევოლუციამდე წარმოდგენებს მართავდა თბილისის განაპირა უბნებში. ერთ დროს სცენაზე იდგმებოდა და პოპულარობით სარგებლობდა მისი პიესა „სიმდიდრის მსხვერპლი".

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ალ. ბაჯიაშვილი გაზეთ „კომუნისტის" ერთ-ერთი მუდმივი მუშა-კორესპონდენტი იყო. მისივე უახლოესი თანამშრომლობით გამოდიოდა მუშა-მწერალთა მხატვრული ჟურნალი „ჩვენი მიზანი".

ი. გ.

„მოსკოვის ბჭესთან"

გ. მდივნის გმირული დრამა. რუსთაველის თეატრი. დადგმა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ა. ხორავასი

მოსკოვი...

იხსნება ფარდა და სცენის სიღრმეში ვხედავთ წითელ მოედანს, კრემლის კედელს, სპასკაია ბაშნიას, წმინდა ვასილის ტაძრის დათოვლილ გუმბათებს. მღელვარება მიპყრობს არა მარტო მე—მოსკოვის მკვიდრს, არამედ ჩემს მეზობლებსაც — თბილისის მცხოვრებთ, რომლებიც იქნებ არასოდეს არ ყოფილან მოსკოვში, რადგან მოსკოვი არის არა მარტო ქალაქი მოსახლეობის გარკვეული რაოდენობით, არამედ ვებერთელა გული, საიდანაც დედამიწის უზარმაზარი სხეულის არტერიებისკენ მაცოცხლებელ ნაკადად მიედინება ცხელი სისხლი. ამიტომ, როდესაც სცენიდან მოგესმის ამ გულის ცემა—სპასკაია ბაშნიას საათის რეკა, მას ეხმაურება ყოველი ჩვენგანის გული, იგი ჩვენში აღძრავს მაღალ გრძნობებს, ამ ხმაში მოგვესმის თვით ჩვენი სამშობლოს მოწოდება. ფხიზლად დარაჯობენ ჩვენი სასიქადულო მფრინავები მოსკოვის ცას, იმ ქალაქის მისადგომებს, სადაც სცხოვრობს და მუშაობს დედამიწის მეექვსედის ძლიერებისა და კეთილდღეობის დიდი შემოქმედი, რომელიც დღიდან დღე სჭედს საბჭოთა ხალხის გამარჯვებას მოსისხლე მტერზე.

მრისხანე ჟამს, როცა გაბოროტებული მტერი მოსკოვის კედლებს აწყდება, მოსკოვი განსაკუთრებით ლამაზი და მშვენიერია. მშვენიერია პირველ ყოვლისა თავის შვილთა—ვაჟთა და ქალთა—სულის სიდიადით, თავის შვილთა გადაწყვეტილებით — სიცოცხლის ფასად დაიცვან ძვირფასი ქალაქი. ამ გადაწყვეტილებაში ერთად არიან ფრონტის მებრძოლნი და ზურგის ადამიანები,—ზურგისა, რომელიც თითქმის არაფრით არ განსხვავდება ფრონტისაგან. გ. მდივანი, რომელსაც თავისი პიესის მოქმედება მოსკოვის ერთ-ერთი სახლიდან მფრინავთა ბლინდაჟებში გადააქვს, გვიჩვენებს ამ ერთიანობას. მაყურებელი იმსჭვალება იმ ადამიანების სიყვარულით, რომლებიც მტკიცედ და თავდადებით იხდიან მეომრის მძიმე საპასუხისმგებლო ვალს, მაგრამ რომლებიც ამავე დროს გულმხიარულნი არიან და თავისუფალ დროს ისეთივე გატაცებით თამაშობენ დომინოს, როგორი გატაცებითაც იბრძვიან თავიანთ საქმისათვის.

თუ მკაცრი საზომით ვიხელმძღვანელებთ, „მოსკოვის ბჭესთან" იმდენად პიესა კი არ არის, რამდენადაც წყება სურათებისა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან თემის—მოსკოვისათვის ბრძოლის დიადი იდეით და მოქმედ პირთა ერთიანობით. ეტყობა, ამ გარემოებამ აიძულა რუსთაველის თეატრი, რომელსაც ეკუთვნის პიესის პირველი დადგმა მთელს საბჭოთა კავშირში, აგრეთვე თვით ავტორიც—შეიტანათ ცვლილებები ამ დრამატიულ ნაწარმოებში სცენაზე განსახიერებისას. ზოგიერთ ამ ცვლილებას უსარგებლოდ არ ჩაუვლია, მაგრამ ორი უკანასკნელი სურათის დამატება ზედმეტი აღმოჩნდა. პიესის ბუნებრივ დაბოლოებას მეოთხე აქტი წარმოადგენს: მფრინავები და მათი სტუმრები წითელი არმიის კონტრშეტევაზე გადასვლის ვითარებაში სიხარულით ხვდებიან ახალ წელს, 1942 წელს, რომელმაც ჩვენს ქვეყანას გამარჯვება უნდა მოუტანოს. დამატებული სურათები იმდენად განსხვავდებიან თავისი შინაარსით, სტილით და მოქმედ პირთა შემადგენლობით წინა სურათებისაგან, რომ სხვა პიესიდან გგონიათ ამოღებული.

სამაგიეროდ თეატრმა შესძლო პიესის განთავისუფლება ოთახის ატმოსფეროსაგან, რომელიც აქა-იქ მაინც საგრძნობია პიესაში. ამის გამო პიესა უფრო მნიშვნელოვანი გახდა, მისი მაშტაბი უფრო გაფართოვდა, იგი უფრო თემის შესაბამისი შეიქნა. ეს მიღწეულ იქნა არა მარტო ტექსტში ცვლილების შეტანით, არამედ სცენიური ინტერპრეტაციით, რის გამოც სპექტაკლი ჩვენი თეატრალური ცხოვრების საგულისხმო მოვლენად იქცა.

დამდგმელის შემოქმედებითმა ინდივიდუალობამ თავისი დაღი დაამჩნია პიესის განსახიერებას. აკ. ხორავამ, როგორც რეჟისორმა, პიესას შემატა ის ტემპერამენტი, ის მგზნებარება, ის ძალა, რომელიც მას ასე მკვეთრად ახასიათებს, როგორც განსაკუთრებული ნიჭის მსახიობს. სპექტაკლი გამსჭვალულია ღრმა ემოციით. საფრონტო განწყობილებათა და განცდათა მკაცრ დაძაბულობას სცვლის ლირიკა, ვაჟკაცური, გმირული ლირიკა.

სპექტაკლში ბევრი მუსიკაა,—საბჭოთა ხალხის საყოველთაოდ ცნობილი სიმღერები იწვევენ მაყურებელში ყოფითს ასოციაციას, ხოლო იონა ტუსკიას მიერ ჩინებულად დაწერილი საორკესტრო მუსიკა ამაგრებს და აღრმავებს სცენიური მოქმედების ემოციურ საფუძველს. ტუსკიას მუსიკაში არის დინამიკა, გაქანება, სიღრმე. ქართველი კომპოზიტორის რომანტიზმმა და თავისებურმა რიტმიულმა ინტერპრეტაციამ მუსიკა აღჭურვა სიმახვილით, რომელიც ასე ეგუება და შეესაბამება პიესაში ასახულ მოვლენებს.

ემოციურ განწყობილებათა ცვალებადობით, მწვავე მიზანსცენების შერჩევით და მუსიკით დამდგმელი აღწევს იმ დაძაბულებას, რომელიც გვაგრძნობინებს მომენტის სერიოზულობას, სიდიადეს და აგრეთვე საბჭოთა ადამიანების მზადყოფნას—მკერდით დაიცვან თავიანთი საყვარელი ქალაქი. ამაშია ამ სპექტაკლის ძალა. მაგრამ აქა-იქ პიესაში თავს იჩენს წმინდა გარეგნული ასახვა, გარეგნული ეფექტები. და მაშინ ბრძოლის ხმაური სრულიად ჩრდილავს ტექსტს და პერსონაჟებს, რომლებსაც განგაშის სცენაში მოსკოვზე ბომდამშენების თავდასხმის დროს ემჩნევათ უფრო ნერვიული ფუსფუსი, ვიდრე დარაზმულობა, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო მოსკოველებისათვის 1941 წლის შემოდგომის მძიმე დღეებში. ამასთან ყველა შემსრულებელი როდი ანსახიერებს დამდგმელის მონაფიქრს. მაგალითად, მსახიობი ა. აფხაიძე ზედმეტად ძაბავს თავის თავს. განსაკუთრებით თავის ხმას, ამიტომ მის მიერ მოცემული სახე საავიაციო პოლკის მეთაურისა დამაჯერებელი ვერ არის.

სპექტაკლის მეორე წამყვან სახეს—მოხუც მასწავლებელ სტრელცოვს ოსტატურად ანსახიერებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკ. ვასაძე. ამ კეთილშობილ პატრიოტში ვხედავთ არა მარტო ღრმა რწმენის უშიშარ ადამიანს, არამედ გულღმობიერ, კეთილ მაგრამ ოდნავ ახირებულ ადამიანსაც. იგი ბუზღუნებს: არ მიყვარს ავიაციაო, და არ უნდა დაიჯეროს, რომ მისი ვაჟი, მფრინავი ილია დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის გმირის წოდებით, ისე, როგორც თვით ილიასაც ვერ გაუბედავს დაიჯეროს თავისი დამსახურების ასეთი მაღალი დაფასება, იმდენად თავდაბალი, უპრეტენზიო ადამიანები არიან ორივენი. მამაცი მებრძოლის ილიას და გაბედული ცეცხლოვანი კომისრის ლადო ჩაჩიბაიას როლების ღირსეული შემსრულებლები არიან მსახიობები ს. ჯაფარიძე და გ. საღარაძე.

მოსკოვის დაცვის გრანდიოზული გმირული ეპოპეა მომავალში მრავალ შემოქმედს შთააგონებს ისეთ დიად ნაწარმოებების დასაწერად, რომლებიც გამანცვიფრებელნი იქნებიან შინაგანი ერთიანობით და სახეების მონუმენტალობით. სპექტაკლი „მოსკოვის ბჭესთან" განხორციელებულია იმ მოვლენებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, რომელნიც მასში არიან ასახული, განხორციელებულია იმ დღეებში, როცა ომის ცეცხლი კვლავ ძლიერი ძალით გიზგიზებს. ამიტომ ბუნებრივია, თუ ეს სპექტაკლი დამთავრებული მხატვრული ქმნილების შთაბეჭდილებას ვერ სტოვებს. მაგრამ ეს არ ამცირებს სპექტაკლის საჭიროებას ჩვენი მაყურებლისათვის. მისი ღირსება სწორედ ის არის, რომ იგი ლაპარაკობს ბრძოლაზე, რომელიც გრძელდება, ლაპარაკობს იმ უშუალო გრძნობით, რომელიც აღელვებული მხატვრის გულიდან აღელვებული მაყურებლის გულამდე მიდის.

ა. ფევრალსკი.

ბიბლიოგრაფია

„ДНИ ГНЕВА"

ეხლახან „ზარია ვოსტოკამ" გამოსცა გიორგი ცაგარლის რუსული ლექსების წიგნი „მრისხანების დღეები" („დნი გნევა"), რომელიც მთლიანად მიძღვნილია საბჭოთა ხალხის ეხლანდელი დიადი ბრძოლისადმი გერმანელ-ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ. წიგნი 27 ლექსს შეიცავს, ისინი დაწერილია სამამულო ომის მძაფრსა და გმირულ დღეებში და მკვეთრად ასახავენ ჩვენი სამშობლოს ხალხთა უმაგალითო პატრიოტულ აღფრთოვანებას, თავისი მიწა-წყლისადმი თავდადებული ერთგულების უწმინდეს გრძნობას, ვერაგი მტრისადმი მომაკვდინებელ ზიზღსა და გულისწყრომას.

კრებულის პირველი ლექსი „ლენინგრადი" — პროლეტარული რევოლუციის ამ სახელოვანი აკვნის დიადი ისტორიული წარსულის ფონზე ხატავს სურათს იმ შეუდარებელი გმირული ბრძოლისა, რომლითაც უტეხი და ქედუხრელი ლენინის ქალაქი უდიდეს სიძნელეთა მიუხედავად იგერიებს და ანადგურებს მტრის გაცოფებულ ურდოებს.

საბჭოთა ხალხის ურყევი რწმენით თავისი წმინდა და სამართლიანი საქმის გამარჯვებისა არის შთაგონებული კრებულის ყოველი ლექსი. დამაჯერებელი და წრფელი პოეტური სიტყვით ავტორი გამოხატავს ვერაგ მტერზე ჩვენი გამარჯვების დიადი დღის წინადგრძნობას:

«Бесславно сгинут вражьи орды,
Рассеяв мрак, блеснет заря,
И день счастливый встретит гордо
Страна в знаменах Октября».

დევ-გმირი საბჭოთა მფრინავების, სტალინური შევარდნების საგმირო საქმეთა ცხოველ ანარეკლს ვხედავთ ლექსებში „გმირ მფრინავებს" და „ზამთრის აეროდრომი". სისხლიან დამპყრობელთა წინააღმდეგ მრისხანედ ამხედრებული საბჭოთა პატრიოტების ვაჟკაცობასა და სიმამაცეს უმღერის ლექსი „შურისმძიებელნი".

კრებულის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „სამშობლო გვეძახის" ავტორი გამოხატავს ყოველი საბჭოთა პატრიოტის მასულდგმულებელ ოცნებას იმ დიადი დღის შესახებ, როდესაც ჩვენი ქვეყანა ჰიტლერელ ბარბაროსებზე თავის საბოლოო გამარჯვებას იზეიმებს:

«Опять в Москве сойдутся братья,
Победой завершив войну,
И примет вождь в свои об'ятья
Сынов, прославивших страну».

ლექსებში „წინა დღით", „დღე ევროპისა" და „ნათელი აღმოსავლეთიდან" განსახიერებულია ის დიადი საერთაშორისო-გამანთავისუფლებელი მისია, რომელიც ისტორიამ საბჭოთა ხალხს დააკისრა. ჰიტლერის სისხლიანი ქუსლით გათელილი და დარბეული ერები ხსნას მოელიან იმ გმირულ ბრძოლათა შედეგად, რომელსაც სამამულო ომის ვიებერთელა ფრონტზე აწარმოებს ჩვენი ქვეყანა. საბჭოთა ხალხი ამაყობს თავისი ბრძოლის ამ საკაცობრიო მნიშვნელობით და სწორედ ხალხის ეს გრძნობაა გამოთქმული დასახელებულ ლექსებში.

კრებულის პირველი ციკლი მთავრდება ლექსით „ბელადი", რომელიც ასახავს საბჭოთა ხალხის უმაგალითო ერთგულებით და უსაზღვრო სიყვარულით შემჭიდროვებას თავისი უძლეველი სარდლის დიდი სტალინის გარშემო.

წიგნის მეორე განყოფილებას შეადგენს ვრცელი ლექსი „სამშობლო", რომელიც დაწერილია საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 20 წლისთავის აღსანიშნავ დღეებში. ამ ნაწარმოებში წრფელი პატრიოტული განცდით აღდგენილია საუკუნეთა მანძილზე ქართველი ხალხის მიერ თავისი ღირსებისა და თავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლათა სახელოვანი ეპიზოდები და ამ ფონზე მოცემულია იმ დიდი აღორძინებისა და აღმავლობის სურათი, რომელიც განიცადა ქართველმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების დროს.

წიგნის უკანასკნელი განყოფილება სატირული ჟანრის ლექსებისაგან შესდგება. მახვილი და მკვეთრი სატირის ფორმებში აქ მკაცრი სიმართლით არის მხილებული გებელსის ცრუპროპაგანდის სიყალბე და მატყუარობა, ჰიტლერული ბანდების მძარცველობა, ფაშისტ დამპყრობელთა აუცილებელი სასიკვდილო განწირულება.

კრებულის შემადგენელი ლექსები იდეური სიმახვილითა და აქტუალობით, ფორმის სიცხადითა და დახვეწილობით ხასიათდება.

ბ. ჟღენტი.

გარიჟრაჟისას

გრიგოლ ჩიქოვანი

ნიკიტა ღელის პირას ლაქაშებში იწვა, და ერთთავად სოფელს გასცქეროდა. ცრიატი ღამე იდგა. სოფლიდან ქარს კვამლის შავი ღრუბლები გამოჰქონდა და მინდორზე აკრავდა ზედიზედ, მერე წივილით კვლავ უკან გარბოდა, დიდხანს არ აყოვნებდა იქ, ჭაპანწყვეტით გამოჰქონდა უფრო სქელი, უფრო შავი და მძიმე ღრუბლები. მინდორზე გამოსული ღონეს იკრებდა, მუხლს იმაგრებდა და მწევარივით იჭრებოდა გადაბუგულ ველებში.

ცეცხლი არ სჩანდა სოფელში, არც სროლის ხმა ისმოდა. კვამლი კი ჯერაც ვერ გაეფანტა ქარს. ეს მისი სახლის, ეზო-კარის, მშობლიური სოფლის, ბაღებისა და მიწის კვამლი იყო.

დილიდანვე იწოდა სოფელი. სულიერი და უსულო ცეცხლის ალში იყო გახვეული.

ცრემლიანი თვალებით გაჰყურებს ნიკიტა გაჩანაგების შემაძრწუნებელ სურათებს. ბნელა, მაგრამ ის ყველაფერს ხედავს გარშემო. აქ, ამ ველებზე, ამ ყანებსა და ბაღებში გაუტარებია ბავშვობა, აქ უკრეფია ირინასთან ერთად ყვავილები. აქაურ მიწა-წყალს მათი ოფლის სუნი უდის, აქ უშენებიათ, უთესიათ და უმკიათ.

თვალწინ წარმოუდგა შარშანდელი შემოდგომა: მთვარიანი ღამე იყო. ხელი-ხელ გადახვეული სოფლის ახალგაზრდობა ამ ველებზე გაშლილ ყანებიდან ბრუნდებოდა სიმღერით. ნიკიტას მარცხენა ხელი ირინასათვის გადაეხვია, და უთათო მაჯა ყურის ძირში, მხარზე ედო გოგოს.

გზის ორივე მხარეს პურის ყვითელ თავთავებს ქარვისფერ ტალღებად აღელვებდა ნიავი და მათ ჯერ კიდევ შრომის ოფლშეუმშრალ სახეებს საამო სიგრილეს ჰფენდა. ხან ერთბაშად დაჰბერავდა, მაშინ მწიფე თავთავები თავს ვერ იკავებდნენ და მოჯადოებულებივით ელამუნებოდნენ მზისაგან გაშავებულ ქალის შიშველ წვივებს. ირინა ცქმუტავდა, ჟინიანად ეკვროდა ვაჟს და მის სავსე, ოფლიან ტანზე გაკრული თეთრი ტილოს კაბა ვაჟის სხეულს ეწებებოდა და თავბრუდამხვევ სურნელებას სტოვებდა ზედ.

ორივენი გრძნობდნენ რაღაც სტიქიურ, თავაწყვეტილ ძალას, რომელიც ჯიუტად იზიდავდა მათ ერთმანეთისაკენ. თითქოს ბუნებაც ხელს უწყობდათ—პურის თავთავების ყოველ შეხებაზე ქალი კალმახივით ფართხალებდა და უფრო და უფრო ეკვროდა ვაჟს. ნიავი კი მის ქერა კულულებს ცეცხლის ალებად აკრავდა ნიკიტას სახეს.

ერთმანეთისა რცხვენოდათ. რომ გეკითხათ, რისი, ვერ გიპასუხებდნენ. სახეზე ალმური ეკიდათ. ასე ეგონათ, მთელი ქვეყანა მათ შესცქეროდა.

ყანებს გასცდნენ და სოფლისაკენ გადაუხვიეს. თხუთმეტამდე იქნებოდნენ ქალ-ვაჟნი. ერთ შეკრივად მოდიოდნენ, უკან თავებგადაწეულნი, მთელი ხმით გაჰკიოდნენ მხიარულ სიმღერას.

თემშარაზე რომ გამოვიდნენ, ნელნელა იწყეს დაშლა. სიმღერაც შინელთა წისქვილთან ნიკიტას და ირინას უკანასკნელი თანამგზავრი ჩამოშორდათ.

ირინას თავი მარცხნივ გადაიხარა და ნიკიტას უთათო ხელი ლოყაზე მიეკრა. მთვარის სხივებით განათებული მისი ბავშვური სახე, ოცნების ღიმილს გაეფურჩქნა. აღარ მღეროდა.

ნიკიტაც გაჩუმდა, უცნაურმა ფიქრმა გაუელვა თავში: ირინას ალბათ, ეცოდება ის. სადა ჰქონდა აქამდე თვალები?

ათი წლისას ნახირში მგელმა თათი მოჰგლიჯა და მას შემდეგ სოფელში ცალხელას ეძახდნენ. უხელობას არასოდეს არ შეუწუხებია, ამაყობდა კიდეც: ცალხელას ორი თავისი ტოლის ოდენა შეეძლო. ახლა შეიგნო მხოლოდ თავისი ხელის სიმახინჯე. ვის რად უნდა ცალხელა? რომელ ქალს მოეწონება?

საშინელი დამცირება იგრძნო. მზად იყო გამოეგლიჯა ხელი, რამე უკმეხი და მწარე ეთქვა ირინასათვის, მაგრამ ამ დროს მახლობელ შუკიდან ნაბიჯის ხმა მოისმა. შეკრთნენ, დაინახეს, რომ მარტონი იყვნენ: ხის ვეება ტოტების ჩრდილში შეიმალნენ.

როცა ირინას ჭიშკართან შედგნენ, შუკებში ადამიანის ჭაჭანება არ იყო.

ნიკიტამ ფრთხილად შეუშვა ქალს ხელი და ზღურბლზე შედგა. ირინას არ შეუყოვნებია, ნახვამდისო, წაიბუტბუტა დარცხვენით და სახლისაკენ გაიქცა.

ნიკიტა კი, თითქოს მიწას უნდა აგრძნობინოსო თავისი სიმძიმე, ფართოდ გადგმული ფეხებით იდგა ღია ჭიშკარში. მთელი ქვეყანა თავისი ეგონა. მიმოიხედა. მთვარე ღა იყო მისი ბედნიერების მოწმე. შეხედა მნათობს, შესცინა და ისე მოეჩვენა, თითქოს მთვარე უცინისო. მთელ ღამეს იხეტიალა მთვარესთან ერთად, გათენებისას ღელის პირას მოთიბულ ბალახზე მიეძინა.

მეორე დღეს დილიდანვე ეძებდა ირინა. შეღამებისას იმავე ადგილას. იპოვნა. მკლავები გაშლილი ჰქონდა, მარჯვენა მუჭაში ნამიანი ბალახი ჩაებღუჯა და კვლავ მთვარეს შეღიმოდა მძინარე.

ახლაც ამ ღელის პირას წევს ნიკიტა. ექვსი საათია უცდის ირინას. დილით სოფელში შემოსულ მტერს კოლმეურნეობის დაღუპულად მიჩნეული ქონება ცხვირწინ დაუძვრინა. ირინა სოფლიდან გასვლამდე არ მოშორებია ნიკიტას. აფთარს ჰგავდა შურისგებით აღგზნებული ქალი. სოფელში დარჩა. დავალებული ჰქონდა მტრის ცოცხალი ძალის რაოდენობა და განლაგება გაეგო და ღამით გაპარულიყო. მანამდე კი ნიკიტა უკან გამობრუნებას მოასწრებდა და აქ უნდა დალოდებოდა.

შუაღამე გადავიდა. სანამდი იცადოს კიდევ? ვინ იცის რა უბედურება ტრიალებს ირინას თავზე? ის კი ბავშვივით იმალება აქ და ელის. რას ელის ნეტავი? ირინას რომ რამე უჭირდეს, ასჯერ მოვიდოდა აქამდე.

სწრაფად წამოდგა და პირდაპირ სოფლისაკენ გასწია. მირბის კვამლით დაფარულ ველზე. იჩეხება ყუმბარისაგან ამოთხრილ ორმოებში. ხან რას ედება და ხან რას. ქარი სახეში სცემს, კვამლისაგან თვალები ეწვის, სუნთქვა ეკვრება.

გზაზე გავიდა. დამტვრეული ავტოებით და საბარგულებით დახერგილია თემშარა. მანქანის თვალს ფეხი წამოსდო, დამტვრეულ მოტორზე წაიჩეხა. უმალვე წამოხტა, სახეზე ხელი მოისვა, თბილი სისხლი ჩამოიწმინდა. არ შეყოვნებულა, ქვევით ჩაირბინა და ბილიკს გასდია.

მირბის ნიკიტა, კვამლი და ქარი ცეცხლს უკიდებს მის ჩამოტყავებულ სახეს. ტუჩის კუთხეებში შედედებული სისხლის სიგრილეს ჰგრძნობს.

ნაცნობ ბაღისაკენ გადაუხვია. საახალწლო ნაძვის ხესავით ანთიან დაბალ-ტანიანი ალუბლები. ოქროს ქამარივით შემორტყმია ბაღს ცეცხლ-მოდებული ღობე.

ზოგან ჯერ კიდევ იწოდნენ სახლები, ენთნენ ღობეები და ჭიშკრები. ჩონჩხებივით იდგნენ ტოტებ-შეტრუსული, გაშავებული ხეები. თხრილებში ჩამდგარ მწვანე წყალს აქა-იქ სისხლი შერეოდა, ცეცხლის შუქზე მრავალფრად ციაფობდა მისი ზედაპირი.

გული უდუღდა ამ სურათების შემხედვარს. ოჰ, ნეტა ხელი მისცა! ისიც ახლა თავის ტოლებთან ერთად ფრონტზე იქნებოდა. შურიანი არასდროს არ ყოფილა, ამ ბოლო ხანებში კი ხშირად უნატრია მათი ბედი. მრავალჯერ წასკდომია ცრემლი ბედის უმადურს, ბავშვივით ატირებულა ვაჟკაცი.

შუა სოფელს მიაღწია. არა ფიქრობდა იმაზე, რომ ყოველ წუთში შეეძლოთ შეენიშნათ. გარბოდა წინ, მხოლოდ იმას ცდილობდა, ჩქარა ენახა ირინა, მიესწრო მისთვის.

შორიდანვე მოჰკრა თვალი ირინას ოთახის განათებულ ფანჯარას. სახლიდან პიანინოს სევდიანი ხმა ისმოდა, თითქოს საშველად ეძახდა ნიკიტას.

გაუკვირდა, ნაბიჯი შეანელა. მთელი ტანი სტკიოდა, სახე და ხელები ეწოდა, ხრიალით სუნთქავდა, ქუდი დაჰკარგოდა, შუბლზე ჯიუტად გადმოყრილი ქოჩორი კანზე მიჰკროდა შედედებულ სისხლს.

ალუბლის ხეების ჩრდილებს გაჰყვა ფანჯრისაკენ. პიანინოს ხმა უფრო და უფრო სევდიანი ხდებოდა, მრავალხმიანად მოსთქვამდნენ კლავიშები, და ნიკიტას ისე მოეჩვენა, თითქოს სოფლის ყოველ კუთხიდან ბავშვების სხრიალი, დედების ტირილი და კვნესის ხმა ისმისო.

ფანჯრის ქვევით ნაცნობ ლურსმანს წაატანა ხელი და ფეხის წვერებზე შედგა. გაშტერდა: ოთახი სავსე იყო გერმანელებით. ისხდნენ სკამებზე, ტახტზე, ლოგინზე. ზოგი კედელს მიყრდნობოდა, ზოგი შაშხანაზე დაბჯენილი შუა ოთახში იდგა. ტანისამოს შემოფლეთილნი, გაუპარსავნი და სიბინძურით შეჭმულნი მოჩვენებებს ჰგავდნენ. უმრავლესობას საბარგო ჩანთა და იარაღი არც კი მოეხსნა. გამოთაყვანებულ, უმოძრაო სახეზე მკვდრის ფერი ედოთ.

ორი საათის წინ დასაკითხავათ შემოიყვანეს ირინა თავის ოთახში. არყით გალეშილ ოფიცერს, რომელსაც ძილი ქვეყანას ერჩივნა, ოთახის კუთხეში მდგარ პიანინოს დანახვაზე, ისეთი აზრი დაებადა, რომ თავისმა ჭკუამახვილობამ თვითონვე მოიყვანა აღტაცებაში. დაკითხვა და დასჯა იმდენი ხნით გადადო, რამდენ ხანსაც ირინა დაკვრას შესძლებდა. ჯარისკაცებს უბრძანა სხვებისთვისაც დაეძახათ თვითონ ლოგინზე წამოწვა. გასაოცრად მოკლე და გამხდარი ფეხები ბალიშზე შეაწყო და ხელები თავქვეშ ამოიდო. მალე ჩაეძინა.

მას აქეთია უკრავს ირინა. მეათეჯერ იმეორებს ერთსა და იმავეს. დაიღალა, თითები აღარ ემორჩილებიან. ფანჯარას მიაშტერდნენ მისი წყნარი თვალები. მკრთალ ლოყებზე დაგორებული მხურვალე ცრემლის წვეთები მძიმედ ეცემოდნენ კლავიშებს, და ნიკიტა ხედავდა, თუ როგორ სწვავდა მათ თავისი მძიმე მწუხარებით.

თავი ასწია ირინამ, თითქო ნიკიტას სიახლოვე იგრძნოო.

კარებთან, ოთახის კუთხეში, ვიღაც წამოდგა. ირინასაკენ წავიდა ბაჯბაჯით. ტყის კაცს ჰგავდა წვერ-გაბურძგნული. თხასავით გრძელი სახე ჰქონდა, დაბალი, ძალზე განიერი შუბლის ღრმა ნაოჭები ოფლნარევ ჭუჭყს ამოელესა. დაბალი იყო და უსაშველოდ სქელი. გრძელი, მატყიერი ხელი შორიდანვე მიეტანა ირინას, ხარბად მისწია თავისკენ.

ნიკიტა უმალ კარებთან გაჩნდა და ორივე ხელით დაეძგერა. ჭახუნით მიაწყდნენ მუხის მძიმე კარები კედლებს და სახლი აიზანზარეს.

ნიკიტა ყურთამდე ღია კარებში იდგა. მორქენალ მოზვერს ჰგავდა გაფითრებული. ირინას თვალებს შეხვდნენ მისი თვალები. საშველად მოუხმობდნენ ისინი. ამან გაასკეცა მისი ძალა. არ შეყოყმანებულა, გულდაგულ მიეჭრა ეფრეიტორს, მაჯაში სწვდა და მისი ტლანქი თათი სწრაფად მოჰგლიჯა ირინას მხარს, მთელი ტანით აეფარა ქალს.

ეფრეიტორი არ აჩქარებულა, ნადირს ჰგავდა, დარწმუნებულს თავის სიძლიერეში. ნიკაპში ხელი მოჰკიდა ნიკიტას და თავი აუწია. ნიკიტამ მჯიღი ჰკრა მკერდში. ეფრეიტორი შებარბაცდა, უკან დაიხია. იმავე წუთს მისი ვეება სხეულისათვის უჩვეულო სიმარდით ხელი გაისო თეძოზე, მაგრამ პირდაპირ ლოგინზე წამომჯდარ ოფიცერს შეავლო თვალი და ნელა დაუშვა რევოლვერი. ოფიცერი ჭინკასავით გადმოხტა ლოგინიდან და სწრაფად მიეჭრა ნიკიტას, ერთხანს ინტერესით შეჰყურებდა.

— გაიყვანეთ! —

იყვირა მერე უცებ. მისი წვრილი, დიაცური ხმა თვითონვე მას ჰგვრიდა შიშს. ამიტომ ყოველთვის მოკლედ და მოსხლეტით ლაპარაკობდა.

ოთხი ჯარისკაცი ეცა ნიკიტას და სწრაფად გაიტაცა ოთახიდან.

ირინა გაშტერებული იდგა.

ოფიცერი მიბრუნდა. ერთხანს [illegible] შეჰყურებდა. უნდოდა ხელი აეკრა ლოყებზე გადმოყრილ კულულებისთვის, მაგრამ ვერ გაბედა, სკამი გაუსწორა, დაჯექითო, ანიშნა და კვლავ ლოგინისაკენ გასწია.

ნიკიტას ჭიშკართან დაეწია პიანინოს ხმა, რაღაც ახალს უკრავდა ირინა, უცნობს, მაგრამ მახლობელს.

შესდგა, სახლისაკენ მიტრიალდა.

ალისფრად ენთო ირინას ფანჯარა. ოთახის კედლები ვერ იტანდნენ კლავიშების ჟღერას, მთელი სახლი ზანზარებდა, მშობლიური მიწა თუ ეთხოვებოდა სიკვდილის წინ.

უჩვეულო სიმაგრე იგრძნო, თითქოს მთელი მისი სხეული მთასავით აღიმართა მიწიდან, ისე მოეჩვენა, თითქოს ურიცხვი ხალხი შეყრილიყო მის გარშემო. მაღლა აილო თავი დიდსა და პატარას, დაუფარავი სიამაყით შეჰყურებდნენ.

ჯარისკაცმა ავტომატის ლულა წაჰკრა მხარში. არ განძრეულა. ახლა მეორემ უბიძგა კონდახით. არც ამან გასჭრა. მაშინ ორნი მხრებში სწვდნენ, ერთიც უკანიდან ეძგერა, მაგრამ ადგილიდან ვერ მოგლიჯეს.

მთელი თავისი მორჭმულობით იდგა, თავი ოდნავ უკან გადაეწია. ნიავი კლავიშების ჟღერას აფენდა სახეზე. მის ნორჩ, მაგრამ ღონიერ სხეულში რაღაც უტეხი სიზვიადე სჩანდა. მას საშველად ეძახდა მიწა, ხალხი, დედები და ბავშვები, საშველად ეძახდა ირინა...

პიანინოს ხმა შესწყდა, ფანჯარაში შუქიც შენელდა.

შეკრთა ნიკიტა, ერთბაშად დაუსხლტა ჯარისკაცებს და სახლისაკენ გაქანდა, მაგრამ ერთი ჯარისკაცი წინ დაუხვდა, კონდახი დასცხო თავში. მუხლებზე დაეცა, ჩაჯდა, ორივე ხელით დაებჯინა მიწას. შუბლიდან სახეზე თბილი სისხლი ჩამოედინა, კისერს ჩამოჰყვა და მკერდზე შეაცივდა.

დიდი ხანი არ მოსულა გრძნობაზე. როცა თვალი გაახილა, ბნელ ოთახში იწვა, თავი ვიღაცის მუხლებზე ედო.

— სადა ვარ?

— ნიკიტა!

— შენა ხარ, გავრილა?

— რა ამბავია შენს თავს ნიკიტა?

— არ ვიცი, გავრილა... სადა ვართ?...

— ორი საათის წინად მოგიყვანეს აქ. არ მეგონა თუ მობრუნდებოდი.

— არ მინდა სიკვდილი, გავრილა... ძალიან არ მინდა.

გავრილა სდუმდა.

— რას გვიპირებენ, გავრილა?

— არ ვიცი, ნიკიტა.

— მე არ მეშინია.

— ვიცი, ნიკიტა.

— არა, მე არ მეშინია, გავრილა... როდის მოვლენ?

— მე ისინი არ დამიბარებია, ნიკიტა.

— ხომ მოვლენ?

— მოვლენ.

ფანჯრის დარაბებს გამეტებით მოასკდა ქარი, ასისინდა, ხან ქვედა ფარღიატში ეცადა შეჭრას, ხან ზედაში, ვერაფერს გახდა. აწივლდა, აფორიაქდა და მოულოდნელად გაიჭრა უკან, მახლობელ ხის ტოტს ეძგერა, მოგლიჯა და რომელიღაც სახლის სახურავს გააკრა, გაჩუმდა, გაქრა.

— გავრილა, შენ გიგრძნია შიში?

— სხვა რამეზე იფიქრე, ნიკიტა.

— რატომ არ მოდიან? საცაა გათენდება კიდეც.

— ჯერ მამლებს არ უყივლიათ...

ხმა გაუწყდა, გაჩუმდა.

გავრილას მოაგონდა ნიკიტას მამა. დაჭრილი ღობეზე მიყრდნობილი იჯდა, მარჯვენა ხელით მესრის ძირში მიწას ებჯინებოდა, მაგრამ მისი ახოვანი ტანის სიმძიმეს მაინც გადაეზნიქა ღობე. მუცელი ჰქონდა გაფატრული. ჭრილობა მარცხენა ხელით შეეკრა. მსხვილ ძარღვიან თითებშუა მოშაო სისხლი ჟონავდა. ნიკაპით მკერდს დაყრდნობოდა, არა კვნესოდა. თავში ესროლეს—ნიკაპი მკერდს მოშორდა, გადატეხილ ღობეს გადაჰყვა. თებერვლის ღრუბლიან ცას შეეყინენ მისი მუქის სიმსხო თვალები.

მეზობელ ეზოში ძაღლი აყმუვლდა, გაბმით მოსთქვამდა პირუტყვი.

სოფლის განაპირას რამდენიმე ტყვიამფრქვევი აკაკანდა. აჯახუნდნენ კარები, ავარდა ცხენების ფლოქვების თქრიალი, ატყდა სროლა, გარბოდნენ შუკებში, ისმოდა ყვირილი, გინება.

— ჩვენები არიან, ხიდიდან უტევენ! — აღტაცებით წამოიძახა გავრილამ და ჩურჩულით გაიკვირვა:—ირინა!

— რა სთქვი, გავრილა?

— შეღამებამდე მე და ირინას ყველა ცნობა შეგროვილი გვქონდა. შევიტყეთ, სად იყო მტერი სუსტად გამაგრებული, მაგრამ მოულოდნელად ჩავვარდით. როგორც სჩანს, ირინამ მაინც მოახერხა გაქცევა.

საშინელი ხმაური ატყდა სულ ახლოს, სახლი აზანზარდა, სროლით გამოვარდა თემშარაზე ტანკი.

— გავრილა?

— აქა ვარ, ნიკიტა.

— ვკვდები, გავრილა...

— ნუ სულელობ, ნიკიტა!

— ახლა სიკვდილის დრო არ არისო, ამბობდა ირინა, ჩვენ ჩვენს თავს არ ვეკუთვნითო...

— დამშვიდდი, ნიკიტა

— მე ვკვდები, გავრილა... უთხარი ირინას... უთხარი, არ მინდოდა სიკვდილი, ძალიან არ მინდოდა..

განთიადმა შეანათა კარისა და ფანჯრების ფარღიატებში. გარეთ ხის ტოტებში ჩიტები აფართხალდნენ.

გაიჭრიალა ჭიშკარმა. აივანზე ვიღაცამ აირბინა, აჩქარებით გააღო გარედან ჩაკეტილი კარები. თავი ასწია გავრილამ.

კარებში ირინა იდგა. თმაგაწეწილი და კაბა-შემოხეული. ამ კარებში ყოველ დილით ქივილ-ხივილით ეგებებოდნენ თავისი მოწაფეები. ამ კლასში უსწავლია თვითონაც. ახლა კი... ულონოდ ასწია ხელი, თვალებზე მომდგარ ცრემლებს შეაგებათ თითქოს. ნელი ნაბიჯით წავიდა ნიკიტასაკენ, ჩაუარა მერხებს, დაფას...

ნიკიტა პირაღმა იწვა, თავი ისევ გავრილას მუხლებზე ედო. აღარ სუნთქავდა. განთიადის მკრთალი შუქი ანათებდა მის ღიმილშეყინულ სახეს.

მუხლებზე დაეშვა ირინა, ჩაჯდა, გარინდული დასცქეროდა. მოაგონდა შემოდგომის მთვარიანი ღამე და ისე მოეჩვენა, თითქოს ახლაც, მოთიბულ ბალახზე წევსო ნიკიტა და მთვარეს შეღიმისო. სოფელში შემავალი წითელარმიელთა მწყობრი რიგები სკოლის წინ გავლისას ერთად იკვრებოდა, თავს მაღლა წევდენ და მათი, ბრძოლის ცეცხლით ანთებული სახეები უფრო მრისხანე და შეუპოვარი ხდებოდა. ირინა აივანზე იდგა. მკლავზე ნიკიტა ესვენა. სახე არ უტიროდა. ორი ცრემლი შეყინოდა გაფითრებულ ლოყებზე და გაზაფხულის მზის ოქროსფერ სხივებზე გასაოცრად ბრწყინავდნენ.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე,
გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 5963